ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

ხათუნა ფურელიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ., ა., მ., გ. მ.-ები

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.10.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 126/19

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი თ. ს. /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ს.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2019 წლის 24 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს მ., ა., მ., გ. მ.-ებმა და მოითხოვეს ადვოკატ თ. ს.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2016 წლიდან დღემდე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს და გრძელდება ა. და ს. თ.-ების სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, რომელთა ინტერესებს იცავს ადვოკატი თ. ს..

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი წლების განმავლობაში სხვადასხვა სასამართლო პროცესზე მათ წინააღმდეგ „დამამცირებელ, ცრუ, ზიზღით სავსე, პირადი სიძულვილით“ გაჯერებულ განცხადებებს აკეთებს მათი მისამართით.

1.3 რუსთავის საქალაქო სასამართლოში შესვენების დროს, სხდომის დარბაზში ათობით დამსწრის გასაგონად, ადვოკატმა თ. ს.-მ განაცხადა შემდეგი: „მ.-ები არც ისეთი ჩლუნგები არიან, როგორც გამოიყურებიან“.

1.4 ადვოკატმა თ. ს.-მ თავის დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულ პირთა სასარგებლოდ და დაზარალებულ პირთა ინტერესების საწინააღმდეგოდ გააყალბა მოწმეთა ჩვენებები, რაც აღნიშნულმა მოწმეებმა დაადასტურეს გამოძიებასა და სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებში.

1.5 საჩივრის ავტორთა განცხადებით, იურიდიული დოკუმენტაციის ფალსიფიცირების გამო სსკ 342-ე მუხლის პრიმა ნაწილით, ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ ქვემო ქართლის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

1.6 ადვოკატმა თ. ს.-მ არასრულწლოვან დაზარალებულს მ. მ.-ს სხვადასხვა სახის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი შეკითხვებით მიმართა, მათ შორის ასეთი შეკითხვა დაუსვა: „შენ ხშირად ტყუიხარ?“.

1.7 ადვოკატმა თ. ს.-მ არაერთხელ მიმართა საჩივრით პროკურატურას დაზარალებულ მ. მ.-ის წინააღმდეგ, რომელმაც მოკლა ა. მ.-ის ბიძაშვილი, რასაც თავად აღიარებითი ჩვენებითაც ადასტურებს.

1.8 საჩივრის ავტორთა განცხადებით, მიუხედავად ადვოკატ თ. ს.-ის მიერ სასამართლო დარბაზში სხვადასხვა დროს გაჟღერებული შეურაცხმყოფელი ფრაზებისა, მათ არასდროს გამოიხატავთ მის მიმართ უკმაყოფილება და იჩენდნენ სიმშვიდეს.

1.9 ადვოკატმა თ. ს.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით იმ ჟურნალისტის წინააღმდეგ, რომელიც ს. და ა. თ.-ების სისხლის სამართლის საქმეებზე დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა.

1.10 2019 წლის 27 ოქტომბერს სატელევიზიო ეთერში ადვოკატმა თ. ს.-მ დაადასტურა შემდეგი გარემოებები: დაშავებულ მ. მ.-თან - დანაშაულის ადგილზე, სადაც მოხდა ა. მ.-ის მკვლელობა, მივიდა პოლიციის განყოფილების უფროსი - ს. თ.-ის ნათესავი, რომლის მიერ ჩადენილ სამსახურეობრივ დანაშაულსაც მოჰყვა ა. მ.-ის მკვლელობა.

1.11 საჩივარში მოცემული პრეტენზიების დასაზუსტებლად კოლეგიის მიერ რამდენჯერმე ჩაინიშნა სხდომა საჩივრის ავტორებთან გასაუბრების მიზნით, თუმცა ისინი დაბარების მიუხედავად, კომისიაში არცერთხელ გამოცხადებულან და არც გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე მიუწოდებიათ ინფორმაცია კომისიისთვის (იხ. ეთიკის კომისიის აპარატის მიერ საჩივრის ავტორებთან გაგზავნილი 17.12.19 შეტყობინება - ჩაბარება - 23.01.20) 2020 წლის 04 თებერვლის შეტყობინება - ჩაბარება 06.02.20)

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება, მათ შორის ის გარემოება, რომ თითქოს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს ქვემო ქართლის პროკურატურაში. ადვოკატის განცხადებით, ის არასდროს ყოფილა ბრალდებული და შესაბამისად, მის წინააღმდეგ არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო პროცესზე მოწმეები თარჯიმნის მეშვეობით დაიკითხა, მათ ნაწილობრივ განსხვავებული განმარტებები მისცეს, რაც სრულიად არ ნიშნავს, იმას რომ გამოძიების დროს მათი ჩვენებები გაყალბდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს განჩინებით დასტურდება, რომ მ. მ.-მა ცრუ ჩვენება მისცა. კერძოდ, მან დაკითხვის დროს აღიარა, რომ პირველი ჩვენების დროს მოიტყუა დედის რჩევით. ადვოკატი ვალდებულია დაზარალებულის დაკითხვის დროს დაადასტუროს მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული განაჩენი ს. თ.-ის მიმართ. განაჩენში მითითებულია, რომ მოწმეები არ არიან გულწრფელები და აქვთ პირადი ინტერესი ს. თ.-ის მიმართ.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მას მ.-ების საგვარეულოს მიმართ არ აქვს რაიმე პირადი ინტერესი და მათ შესახებ რაიმე შეურაცხმყოფელი არასდროს უთქვამს და საჩივარში მოყვანილი ფრაზებით ისინი არასდროს შეუფასებია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ., ა., მ., გ. მ.-ებმა კომისიას საჩივრით მომართეს 2019 წლის 24 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2019 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ს.-ის მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულების შესაძლო დარღვევის შესახებ:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“. აღნიშნული ვალდებულება ასევე განსაზღვრულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 9.4 მუხლი ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან ...“.

5.2 ადვოკატი სარგებლოს გამოხატვის თავისუფლებით, როგორც საქართველოში მყოფი ნებისმიერი სხვა პირი. ადვოკატის შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართოა, როდესაც ის სასამართლოს ან სხვა ორგანოს წინაშე წარმოადგენს კლიენტს, თუმცა ადვოკატი დამატებით შეზღუდულია მაშინ, როდესაც ადვოკატი ტრიბუნალის გარეთ აკეთებს საჯარო განცხადებას, რომელიც შეეხება სასამართლოს, საადვოკატო პროფესიას ან მისი მონაწილეობით წარმოებული პროცესის რომელიმე მონაწილეს, მონაწილის სტატუსის მიუხედავად.

5.3 საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც შეიძლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს

(საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი, 24-ე მუხლის მე-4 ნაწილი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1(ბ) მუხლის მიხედვით აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფით ფაქტს. ის დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (4.1. მუხლი). თუმცა აბსოლუტური პრივილეგია არ ნიშნავს აბსოლუტურ უფლებას და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც აზრი გადმოცემულია უხამსი ფორმით ან შეიცავს პირისპირ შეურაცხყოფას (მუხ. 9.1.).

5.4 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38.4 მუხლის თანახმად, *ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.* კანონი ადვოკატს ანიჭებს იმუნიტეტს სასამართლოში მის მიერ გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებით, თუმცა იმ პირობით, რომ ის გამომდინარეობს კლიენტის ინტერესებიდან. კლიენტის ინტერესად ვერ ჩაითვლება კლიენტის უკანონო მითითება. შესაბამისად, კანონის ამ ნორმაში მოიაზრება მხოლოდ კლიენტის ლეგიტიმური ინტერესი. ადვოკატი ვერ იქნება დაცული იმუნიტეტით, თუ მისი განცხადება შეურაცხყოფს სასამართლოს ან პროცესის მონაწილეს, ან წინასწარი შეცნობით ყალბ მტკიცებულებაზე მიუთითებს, რაც კანონის და აპეკ-ის სხვა ნორმებით არის აკრძალული. თუმცა თუ ადვოკატი კეთილსინდისიერად იცავს კლიენტს, რაშიც უპირველესად კლიენტის კანონიერი ინტერესების კვალიფიციურად და უშიშრად დაცვა მოიაზრება, მას აქვს სასამართლოში მოქმედების სრული თავისუფლება. დაუშვებელია ადვოკატისთვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაწესება სასამართლოში მის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან ან დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით. ადვოკატისთვის ცენზურის ან რაიმე პასუხისმგებლობის დაწესებას ექნებოდა მსუსხავი ეფექტი დაცვის უფლების განხორციელების პროცესში, რაც უარყოფითად აისახებოდა შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპზე და სამართლიანი სასამართლოს გარანტიაზე.

5.5 საჩივრის ავტორთა პრეტენზიები ეხება მათ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ თ. ს.-ის მიერ მათ მიმართ გამოხატულ დამოკიდებულებას (იხ. პუნქტები 1.2; 1.3). საჩივარში მითითებულია, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორთა მისამართით განაცხადა შემდეგი: „მ.-ები არც ისეთი ჩლუნგები არიან, როგორც გამოიყურებიან“.

5.6 კოლეგიამ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმი (ჩანაწერი არ არის დათარიღებული), რის მიხედვითაც მოწმის სახით გამოიკითხა მ. მ., რომელსაც როგორც ს. თ.-ის წარმომადგენელმა ადვოკატმა თ. ს.-მ დაუსვა რამდენიმე შეკითხვა. სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა თ. ს.-მ მ. მ.-ს რამდენჯერმე ჰკითხა ხომ არ ტყუოდა შემდეგი სახის მიმართვით: 00:53 თ. ს.: “ტყუილია თუ მართალი” 00:47: „ამ ტყუილს როგორ ამიხსნი? ... აბა რატო მოიტყუე? ...ე.ი. აქაც ტყუილი თქვი ხომ? ეს ტყუილი რომ თქვით, თქვენი პირადი გადაწყვეტილებაა თუ დედასი?“

5.7 ადვოკატი თ. ს. უთითებს, რომ საჩივრის ავტორი ხშირად ცვლიდა თავის ჩვენებებს, რაც დასტურდება სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენითაც (რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი 2017 წლის 03 ნოემბერი, გვ.10) და მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობდა მისი შეკითხვები სიცრუის თაობაზე.

5.8 ადვოკატის მიერ მოწმისთვის ტყუილზე მინიშნება, თუ ასეთი მინიშნება გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, წარმოადგენს კლიენტის ინტერესების კეთილსინდისიერად და უშიშრად დაცვის მაგალითს. ადვოკატმა მან ყველა კანონიერი საშუალებით უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესი (იხ. აპეკ-ის მე-5 მუხლი), რაც ასევე მოიცავს საქმეში ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების აღმოჩენას და მათზე

სასამართლოს ყურადღების გამახვილებას. ასეთი სახის შეკითხვის ადვოკატისთვის დასმის აკრძალვა მნიშვნელოვნად შეზღუდავდა შეჯიბრებითობის პრინციპს და დაცვის უფლებას. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის განცხადებები და მოწმეთა მიმართ შეკითხვები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, რადგან თუ ისინი შეურაცხმყოფელია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით განსაზღვრულია პროცესის მონაწილე პირის პასუხისმგებლობა, რასაც სხდომის თავმჯდომარე აღასრულებს. საპროცესო კოლეგია ეთანხმება ადვოკატის განმარტებას, რომ მისი კითხვები სიცრუის თაობაზე გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესებიდან, ასევე მხარეთა მიერ წარმოდგენილ საქმის მასალებში არ არის რაიმე სახის კერძო განჩინება ან დაოქმებული მოსამართლის ზეპირი შენიშვნა, ადვოკატის მიერ დასმულ სადაო შეკითხვებთან დაკავშირებით. შესაბამისად საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ არ არის დარღვეული ადვოკატთა შესახებ კანონის 5 (გ) მუხლი, რადგან წარმოდგენილი ფაქტებით ადვოკატს არ შეულახავს მოწმის უფლება.

5.9 5.5 პუნქტში მითითებული ფრაზები არ შეიძლება გახდეს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი. საჩივრის ავტორთა პრეტენზია, რაც ეხება ადვოკატ თ. ს.-ის მიერ მ. მ.-ის მიმართ პროკურატურაში საჩივრის წარდგენას, აგრეთვე, ჟურნალისტების წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოების დაწყებას, კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი მ. მ. წარმოადგენს ადვოკატ თ. ს.-ის მოწინააღმდეგე მხარეს და შესაბამისად, ის მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და მას უფლება აქვს განახორციელოს აღნიშნული მოქმედებები, რაც არ წარმოადგენს მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეთა უფლებისშემლახავ მოქმედებებს.

5.10 საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო მოწმეთა ჩვენებების გაყალბებაში ან წინასწარი შეცნობით სასამართლოს წარუდგინა ყალბი მტკიცებულება. კლიენტის მიერ ჩვენების ნაწილობრივად შეცვლა ან უარყოფა, თუნდაც ეს დასტურდებოდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალებით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ჩაითვალოს, რომ ადვოკატმა წინასწარი შეცნობით სასამართლოს წარუდგინა ყალბი მტკიცებულება. ამიტომ საპროცესო კოლეგიას დამატებით აღარ შეუსწავლია ადვოკატის მოქმედებების შესაბამისობა აპეკ-ის 9.3 მუხლის ფარგლებში.

5.11 წარმოდგენილი საქმის მასალებით, მათ შორის სასამართლო სხდომის ჩანაწერებით არ დგინდება, რომ ადვოკატ თ. ს.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ისეთ ქმედებას, რომლის საფუძველზეც კოლეგია იმსჯელებდა ადვოკატის მიერ სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების სავარაუდო დარღვევის თაობაზე, მათ შორის, საჩივრის ავტორის, როგორც პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №126/19 ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/